

13 მარტის დღია

თელავი.

სასახლიდან უზოებამდე ჰაერი ვნების აღმძვრელად გაჟღენთილიყო შორეული ინდური ყავის სურნელით, ჩანს, ამ დღიას მეფეს ყავა მოსწყურებოდა, 1795 წლის 13 მარტის დღიას.

თავად მეფე კი არსად ჩანდა, ქალაქის ქუჩებსა და ხედებს, ჩვეულებისამებრ, არ გასცქეროდა აივნებიდან. სამაგიეროდ, იგი, სიგლის ქაღალდითა და კალმით მომარჯვებული, მარტყოფის მოურავობის წყალობის წიგნს ენდრონიკაშვილ ზაალისათვის ერთობ გულმოდგინედ ამზადებდა: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიოვანიან ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან ირაკლი მეორემან ეს წყალობის სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და თავდადებით ნამსახურს...“

ამასობაში ყავა ადუღდა და დანიშნულ დროზე მსაჯულმდივანიც ეახლა უკვე ხანშიშესულ პატარა კახს.

თითბირის ზართებიან ყავის ფინჯნებში ახლადმოსულმა ყავა ჩამოასხა და მეფესთან ერთად ყავის სმით პატივდებული, მეფის ნაკარნახევს თავისი კარგად გაწაფული ხელით სულ სიტყვასიტყვით იწერდა: „...ძველ საბუთებში ამოვიკითხეთ, რომ შენ დაობლდი...“ აქ მეფე შედგა, რაღაც უხერხულად შეიქნა, ნაიარევი წარბები ღრმა ფიქრისაგან კიდე უფრო ღრმად შეეჭმუნა და, თითქოს საუკეთესო გამოსავალს ეძიებო, კარგა ხანს იყო ასე მდუმარედ. მერე ძლიერ ამოიოხრა და წლებდამჩნეული, დაძარღვული, მაგრამ მაინც ღონიერი თითებით სარკმლის წინ პატარა ტაბლაზე კოხტად მდგომი მწვანე ბროლის სამაქრიდან ორი მრგვალი ნუღლი ამოიღო, ერთი მსაჯულმდივინისათვის, მეორე თავისთვის, ხოლო კიდე სხვა, თეთრ, ნაპირგატეხილ ბროლის სამაქრეში კი შაქარიყინულს ჩახედა, წუხელ თეკლა ბიჭი ჰყავდა ჩაიზე და თულა დარჩებოდაო; თან თვალწინ წარმოუდგებოდა აბდულაბეგის შემოსევა, მტრის რაზმში ვაჟკაცურად შესული ზაალის გმირობანი და მსაჯულმდივანს მოსვენების საშუალებას არ აძლევდა, ყოველივეს აწერიებდა. უცებ მეფეს ნაიარევ ლოყაზე რაღაც სიამაყის ღიმმა გადაუთამამა და ასევე სიამაყით აღმოთქვა: „სასიკვდილოდ დაგკაფეს, ღვთით მორჩი და მას აქეთ...“, მყისვე ასპინძა გაახსენდა ერეკლეს და ასპინძაში ისევ ენდრონიკაშვილი შვიდ ხევსურთან ერთად - საკვირველია ამ ობლად დარჩენილის საქმეები; აი, ასეთი ვაჟკაცები მართლაც რომ წაადგებოდა ქართულ ჯარს - ახლა ოცნებამაც გაიტაცა მძიმე ფიქრებით და მოგონებებით დადარდიანებული მეფის გული.

მალე კვლავ გამოერკვა და მზერა ორი ფაიფურის სტაქანს წააწყდა მოშორებით, სასადილო მაგიდაზე აულაგებელს, ერთ-ერთში ვერცხლის პატარა ჩაის საწურავი ჩარჩენილიყო, წუხელ ნავახშმევს თეკლა ბიჭთან ერთად რომ დაელია ჩაი მეფეს, არა იმდენად ჩაისთვის, რამდენადაც ქალიშვილთან მუსაიფისათვის, მისი გულფიცხელი სიყვარულისა და მონატრების მიზეზით. მსაჯულმდივანი კი იჯდა და ინიშნავდა მეფის ყოველ აზრსა და სიტყვას და მოხდენილი მხედრულით ასოთა ქარგვას განაგრძობდა: „...თითოეულად შენგან ქმნილი ვაჟკაცობები რომ დაგვეწერა, ძალიან გაგძულდებოდა და ბევრისაგან მხოლოდ ცოტა ჩამოვთვალეთ“

- 1774 - ს, როცა „მორიგე ჯარი“ შევქმენით, ვფიქრობდით, რომ ქვეყანას მცირე

საშველი მაინც ექნებოდა თავისი უკიდურესი გაჭირვებიდან. აი, ასეთი ვაჟკაცები... აი, ასეთი გმირები..., სწორედ მათი სიმრავლე მგონია გამოსავალიც და ქვეყნის ღიბებაც - წამით კვლავ ფიქრმა წაიღო მეფე, თუმცა უმაღლვე ანიშნა მსაჯულმდივანს, წერა გაეგრძელებინა: „და ამ სამსახურისთვის გიბოძეთ ძველთაგანვე შენი ოჯახის კუთვნილი მარტყოფის მოურაობა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან!“

ღვთის სახსენებელზე მეფემ სალოცავ კუთხეს გახედა. მაგრად გადაჭიმულ წითელ ხავედზე კარგად დამაგრებული ერთი ხის ჯვარი ეკიდა, მის წინ კი სანთელი ენთო, ცოტაც და ბოლომდე ჩაიწვებოდა.

მსაჯულმდივანმა აღნიშნა წყალობის სიგელის სრულყოფა და ბეჭდებითაც დაამოწმა ის. დასასრულს თვით ერეკლემაც დაადასტურა სამეფო ბეჭდის დასმით.

შეხვედრაც მიიღია...

ყავაც დაიღია...

სანთელიც ჩაიწვა...

ნამწვი დარჩა...

ეზოებში აღარ, მაგრამ სასახლის ოთახებში ჯერ კიდევ ვნების აღმძვრელად ტრიალებდა შორეული ინდური ყავის სურნელი და მასთან ერთად ახლადჩამქრალი სანთლის ნამწვის სუნი.

... „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“, არც ამ სანთლის ნამწვი კარგავს თავის გზას; მოგვიანებით პატარა კახის შვილთაშვილი, ბატონი გრიგოლ ორბელიანი ამისთანა ამბებთან დაკავშირებით თავის საყვარელ „სადღეგრძელოში“ იტყვის: „მიეცით ნიჟსა გზა ფართო,/ თაყვანისცემა ღირსებას,/ ნიჟს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს,/ და არა გვარიშვილობას“-ო, და „მიუხედავად იმისა, რომ წარსულში, ან თუნდაც იმამყულიხანის დროს, ენდრონიკაშვილებს მარტყოფის მოურაობა დასაბუთებულად უდასტურდებოდათ, პატარა კახი ზაალს ამ თანამდებობას მეტადრე პირადი ღირსებებისა და დამსახურებების გამო უბრუნებს, ჩამოართმევს რა მას ვინმე ჩერქეზიშვილს და ამით ადადგენს ისტორიულ თუ პიროვნულ სამართლიანობას, იმდენად, რამდენადაც საერთოდ ქვეყნიურობას შეუძლია, სამართლიანი იყოს.

სოფ. იფარი

2020 წლის 19 ოქტომბერი

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. იფარის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე,
მიხეილ ხვისტიანი (15 წლის)